საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი მ. ნ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.08.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 066/17

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ თ. ფ.-ს მიმართ /სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ფ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 23 აგვისტოს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა მ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ფ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი იცავდა ვ. ც.-ს, ბ. ჭ.-ს და გ. მ.-ს ინტერესებს დანაშაულისთვის გათვალისწინებული სსკ-ს 180-ე და 210-ე მუხლებით. საქმეზე ჩატარებული არაერთი სხდომის შემდეგ მიღწეულ იქნა საპროცესო შეთანხმება ბრალდების მხარესთან სასჯელის სახით პირობით გამოსაცდელი ვადის განსაზღვრის თაობაზე. 2017 წლის 10 აგვისტოს ჩატარდა სხდომა და ადვოკატ მ. ნ.-ს დაცვის ქვეშ მყოფთა საქმე გამოიყო ძირითადი საქმიდან, საპროცესო გარიგების დამტკიცების მიზნით და საპროცესო გარიგების დამტკიცების გამო გადაეცა სხვა მოსამართლეს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 10 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით იგი იმყოფებოდა შვებულებაში. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ საკუთარი შვებულების შესახებ მისი დაცვის ქვეშ მყოფნი გაფრთხილებული ჰყავდა 2 თვით ადრე.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის 16 აგვისტოს ადვოკატი თ. ფ. გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და დაიცვა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირები ისე, რომ არ გააფორმა მათთან ხელშეკრულება და არ შეატყობინა მას, მათ ადვოკატს, რითაც დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის სასამართლოს არ უცნობებია, რომ საქმის განხილვა ჩანიშნული იყო 2017 წლის 16 აგვისტოს და განცხადებაც პროცესის თარიღის შეცვლის მიზნით ამის გამო არ შეიტანა. მისი შვებულებაში ჰყოფნა ვერ გახდებოდა მიზეზი იმისა რომ დაზარალებულიყო კლიენტის ინტერესი.

1.6 საჩივრის ავტორმა წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის 2017 წლის 21 სექტემბრის N1/XXXX-17 წერილი, რომლის თანახმად ადვოკატმა თ. ფ.-მ სასამართლოს წარუდგინა 2017 წლის 16 აგვისტოს თარიღით გაფორმებული ორდერი, ხოლო საქმის მასალების გაცნობის მიზნით ადვოკატ თ. ფ.-ს სასამართლოსთვის არ მიუმართავს, ამ ქმედებით მას შეეძლო კლიენტთა ინტერესები არასათანადოდ დაეცვა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ თ. ფ.-ს მხრიდან არაეთიკურ და ადვოკატისთვის შეუფერებელ ქმედებას მანამდეც ჰქონია ადგილი, რასაც მის წინააღმდეგ შეტანილი სხვა საჩივრები ადასტურებენ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ფ.-მ 2017 წლის 15 სექტემბრის ახსნა-განმარტებაში მიუთიუთა, რომ კლიენტებმა მას სთხოვეს დახმარება მას შემდეგ, რაც ადვოკატმა მ. ნ.-მ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს უთხრა რომ "იყო შვებულებაში და რაც უნდათ ის გაეკეთებინათ".

2.2 ადვოკატის განცხადებით, ბრალდებულები ჩქარობდნენ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას, რადგან მოსამართლე გადიოდა 1 თვიან შვებულებაში, ხოლო 10 აგვისტოს შვებულებაში გასული ადვოკატი მ. ნ. შვებულებიდან 30 აგვისტოს გამოვიდოდა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, რადგანაც საქართველოს სსსკ-ს თანახმად საპროცესო შეთანხმების განხილვის და განაჩენის ვადა არის 15 დღე, რომც გადაედო მოსამართლეს პროცესი 25 აგვისტოსთვის, ადვოკატი მ. ნ. კვლავ იქნებოდა შვებულებაში და ბრალდებულები დარჩებოდნენ დაცვის გარეშე, რადგანაც ადვოკატმა მ. ნ.-მ პირადი ინტერესები დააყენა კლიენტის ინტერესებზე მაღლა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მან ბრალდებულების ინტერესების დაცვის მიზნით მათთან დადო ზეპირი ხელშეკრულება, სასამართლოს წარუდგინა ორდერი და ადვოკატის მოწმობა, მოსამართლეს არ მოუთხოვია ხელშეკრულება, რათა განეხორციელებინა ბრალდებულების დაცვა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მან სცადა ადვოკატ მ. ნ.-სთან კომუნიკაცია, თუმცა ამ უკანასკნელს ვერ დაუკავშირდა, რადგან მას ტელეფონი გათიშული ჰქონდა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, იგი თავის ქმედებებს ახორციელებდა კეთილსინდისიერად და საადვოკატო საქმიანობის პრინციპების შესაბამისად კლიენტის ინტერესებს აყენებდა საკუთარზე მაღლა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ფ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი N,სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ადვოკატმა მ. ნ. ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 23 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის აგვისტოს თვეში. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ფ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. ფ.-მ არ შეატყობინა მას, რომ ადვოკატად ერთვებოდა მისი კლიენტების: ვ. ც.-ს, ბ. ჭ.-ს და გ. მ.-ს საქმეში, რითაც დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ფ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები."

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას."

5.3 ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობას და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.

5.4 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №100/12 განმარტა, რომ ,,საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას.“

5.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2012 წლის 08 დეკემბრის საერთო კრებამდე მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა, რომ ,,თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას ამ კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ“, რაც 2012 წლის საერთო კრებაზე ამოღებულ იქნა, რადგან ის ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ნდობა, კონფიდენციალურობა და კლიენტის ინტერესების უპირატესობა. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა, მათი შეთანხმება კონფიდენციალურია, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის წარმოშობა ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების საფუძველზე ხდება, ხოლო ადვოკატთან ურთიერთობის შეწყვეტა კლიენტის ექსკლუზიურ და შეუზღუდავ უფლებას წარმოადგენს. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება ადვოკატს კლიენტის თანხმობის გარეშე არ აქვს, ხოლო მისი გამჟღავნება იწვევს ნდობის, კონფიდენციალურობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევას. კოლეგიალობის არსიდან გამომდინარე, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა მიმართული უნდა იყოს კლიენტის ინტერესის პრიორიტეტისაკენ და კანონის ფარგლებში მათი რეალიზებისაკენ. კოლეგიალობა ხელს უწყობს კლიენტების პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას. კოლეგიალობა საბოლოო ჯამში კლიენტის კანონიერ ინტერესს ემსახურება და მართლმსაჯულების ეფექტური აღსრულების მექანიზმიცაა.

5.6 საჩივრის ავტორის, ადვოკატ მ. ნ.-ს პოზიციაა, რომ ადვოკატი თ. ფ.-მ დაარღვია კოლეგიალურობის პრინციპი, როდესაც მასთან შეთანხმების გარეშე დაიწყო საადვოკატო მომსახურეობის გაწევა მისი კლიენტების ვ. ც.-ს, ბ. ჭ.-ს და გ. მ.-ს მიმართ. საპროცესო კოლეგია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ შვებულებაში ყოფნისას ადვოკატ მ. ნ.-ს დაუკავშირდნენ მისი კლიენტები: ვ. ც., ბ. ჭ. და გ. მ., ხოლო მის მიერ შვებულების დროს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემდეგ, რისი კანონიერი უფლებაც გააჩნდა ადვოკატ მ. ნ.-ს, სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართეს ადვოკატ თ. ფ.-ს. საპროცესო კოლეგიის

შეფასებით, კონფიდენციალური ინფორმაცია ასევე მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს უფლებას ადვოკატს საჯაროდ გახადოს აღნიშნული საკითხი. კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებაზე, ამას ითვალისწინებს აგრეთვე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება. შესაბამისად, ადვოკატ თ. ფ.-ს თავისი მოქმედებით არ გამოუვლენია კოლეგის - ადვოკატ მ. ნ.-ს მიმართ უპატივცემულობა და არაკოლეგიალურობა.

5.7 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ თ. ფ.-ს კლიენტებს: ვ. ც.-ს, ბ. ჭ.-ს და გ. მ.-ს თ. ფ.-ს მიერ გაწეულ მომსახურებაზე პრეტენზია აქ აქვთ, შესაბამისად, კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატ მ. ნ.-ს პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი თ. ფ. საქმის მასალების გაცნობის გარეშე ჩაერთო საქმეში და ამით ზიანი მიაყენა კლიენტთა ინტერესს, რადგან ამ პრეტენზიის მიმართ ადვოკატი არაუფლებამოსილი განმცხადებელია.

5.8 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატ თ. ფ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის ნიშნებს და ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციონაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლითა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №066/17 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ თ. ფ.-ს მიმართ /სიითი №/.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიისწევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/